ტფილისი

№ 125
ივნისის 16, კვირა, 1902 წ.
1877

ივერია

№ 125
ივნისის 16, კვირა, 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს **ექვს მანეთად** და **ათ შაურად** (6 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., კალანთარის ქარვასლის პირდპირ).

ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

გაზეთი „ივერია“

რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,

გადადის საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში·

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და
(6—12) პერ. მიხ. კორსანიდი.

ქართველ ქალთა

ამხანაგობა

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჭრავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. ბძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—7½ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ ბედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მ. ა. ბედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისადა წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მალალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ტფილისი

◆ კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა გუშინ საქმე პორუჩიკის ვიხოდცევსკისა, რომელსაც ჰბრალდებოდა შტიცელბერგის მოკვლა ბანკის რესტორანში. სასამართლომ დამნაშავედ იცნო პორუჩიკი ვიხოდცევსკი და გადაუწყვიტა: ჩამოერთვას უფლებანი და სამის წლით გამასწორებელ რაზმში გაიგზავნოსო. ამასთანავე სასამართლომ დაადგინა ეთხოვოს მთავარ-მართებელს იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, სრულიად ეპატიოს მსჯავრ-დადებულს პორუჩიკს ეს სასჯელი.

◆ პროფ. ალ. ხახანაშვილი ამ ზაფხულს მოდის ათონზედ იქაურ საქრისტიანო ნაშთთა და ძეგლთა შესასწავლად. პროფ. ნ. მარრი და ჯავახიშვილი ამავე აზრით გაემგზავრნენ პალესტინას იქაურ ქართველთა მონასტრების დასათვალიერებლად და იმ ხელნაწერების ასაწერად, რომელიც კიდევ გადარჩენილა ჟამთა-ვითარების შემუსვრასა და წარხოცვასა. მარრს თან მიჰყავს დახელოვნებული ფოტოგრაფიც წარწერების სინამდვილით გადასაღებად, როგორც პალესტინის ქართველთ მონასტრებიდგან, ისე სინას ქართველთ მონასტრიდგანაც. ნ. მარრის დახელოვნება და გულ-მოდგინეობა ამ საქმეში სრული თავდებია იმისი, რომ ყოველივე საყურადღებო წვლილი ჯეროვანად იქმნება მისგან გამოკვლეული და შესწავლილი.

◆ ტფილისის პირველს გიმნაზიაში წელს 75 კაცში 13 ქართველმა დაამთავრა კურსი. აი მათი გვარები: ელიოზიშვილი ნ., თ. ჭავჭავაძე კონსტ., თ. ციციშვილი დ., ტატიშვილი გ., ფალავანდიშვილი მურზაბეგ, კონიაშვილი გ., ყიფიანი გ., დეკანოზიშვილი მიხ., აბაზაძე ირ., ბადრიძე გ., თ. ვაჩნაძე ნ., ნატროშვილი დ. ამათ გარდა ერთმა ქართველმა ექსტერნად დაიჭირა ეგზამენი და მიიღო ატესტატი, სახელდობრ ალ. ჩხეიძემ.

◆ მთავარ-მართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე გუშინ წავიდა კოჯორს, სადაც მთავარ-მართებლის კანცელარია და კავკასიის სამხედრო-საერო მმართველობა გადადის ხოლმე ზაფხულობით.

◆ წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის მოწაფენი უკვე გაემგზავრნენ კოჯორს ტფილისით.

◆ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თავის მოადგილეს, წარუდგინოს მას ქალაქის გამგეობის ანგარიში 1900 წ. ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის შემოსავალ-გასავლის სისრულეში მოყვანის შესახებ. („Нов. Об.“).

ქალაქის გამგეობისა და განსაკუთრებულ კომისიის შეთანხმებით სრულებით ახალი ნიხრი დაარსდა მეეტლეთათვის: ნავთლუღს და ნიჟეგოროდის პოლკის ყაზარმებამდე წასვლა ან იქიდან მოსვლა: ქალაქის 1, 2, 3, 4 და მე-10 უბნიდგან—რეზინიანი ეტლით—60 კ., ურეზინო—50 კ., ცალ-ცხენა—35 კ., მე—5, 6, 7, 8 და მე-9 დგან—რეზ. ეტ.—50 კ., ურეზინო

ფელეტონი

აზრები ლიტერატურაზე

„ივერიის“ 25 წლის შესრულების გამო

წელს 3 მარტს, შესრულდა 25 წელიწადი „ივერიის“ დაარსების დღიდამ. ამის შესახებ „ცნობის ფურცელში“ 9 მაისს ხმა ამოიღო ბატონმა კალამმა, არავინ მოიხსენა ეს ამბავიო, არც თვითონ „ივერიამ“, არც სხვა გაზეთებმა (ქართულმა, სომხურმა და რუსულმა), და არც საზოგადოებამაო. დიაღაც მართალი საყვედურია.

მაგრამ, კითხულობს ბატონი კალამი, რად მოხდა ესაო? პასუხს არ იძლევა. საკითხველია, მართლა, რად მოხდა, რომ ქართულ ენაზე ერთად-ერთი გამოცემა, რომელმაც 25 წელიწადი გასძლო, ასე დავიწყებული შეიქნა?

მართალი და პირუთვნელი პასუხი ამისი მე ადვილად მიმაჩნია, რამდენადაც ვიცი ვითარება ჩვენებურის მწერლებისა (ქართველ, სომეხ და რუსებისა).

მიზეზი ის გახლავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი მწერლები არ მოგვეპოვებიან. ნამდვილი მწერალი, პუბლიცისტი ისეთ კაცად ითვლება, ვისაც მწერლობა ხელობად (პროფესიად) გაუხდია; მისთვის მომზადებულა, შესწავლია და მუდამ სწავლობს; იცის მისი ისტორია და თავ-გადასავალი, აწმყო მდგომარეობა და მომავალ წადილის მიმართულება. განა, გვყავს ამისთანა მწერლები?

მწერლობის ასპარეზი (ჟურნალ-გაზეთობა) ჩვენში გზის სადგურს (სტანციასა) ჰგავს, როგორც სადგურზე მგზავრი თითო წამითა დგება შესასვენებლად, ისე რედაქციებში შემოსულები დროებით კალამს იღებენ, დროებით სწერენ, ზოგჯერ ნიჭიერადაც, მაგრამ მალე თავს ანებებენ და ნივთიერად უფრო სარფიან ხელობას ჰკიდებენ ხელსა. ამისთანა დროებით ხელ-მოსაცვლელს მუშაობას ხომ ხელობას ვერ დავარქმევთ? დღეს ერთი მოდის, მეორე მიდის, დღეს ერთია, ხვალ მეორე. ამ მუშაობას არც არა საიმისო მომზადება ეჭირებაო, ასე ფიქრობენ, არც ცოდნა გუშინდელის დღისა, არც ისტორიისა, და თითქმის სამწერლო ენისაცა. დღეს რაც ხდება ჩვენს ახლომახლოს, მარტო ის იცის, ისიც გაკვრა-გამოკვრით და სხვა რაღაა საჭირო: გაჰკარ-გაიტანე. რედაქციებს გარეშე მწერალიც მუშაობს, სხვათა შორის, როცა მოიცლის.

ჩვენი მწერლობის საქმე, გაჰკარ-გაიტანეა. ღმერთო ჩემო! რა სამწუხარო მდგომარეობა წარმოგიდგება ლიტერატურისა, როდესაც დაუფიქრდები მარტო ამ მხარეს, რომ გარემოება ხელს არ უწყობს მწერლის ხელობის გამტკიცებას, როდესაც ლიტერატურის სამსახურის მსურველის კეთილ განზრახულებას თვით მწერლობითი მუშაობა იმოდენს სახსარს ვერ აძლევს, რომ ამ ხელობას დაადგეს და სასარგებლო მოღვაწედ შეიქნეს.

ნულარ გავყვებით თვით მწერლობის მნიშვნელობის ახსნას, რომელსაც თავის დანიშნულების პირნათლად ასასრულებლად ბევრი შინაგანი და გარეგანი დაბრკოლება ელობება, აქრობს, აქარწყლებს და ბურუსში აგდებს მის ნორმალურს მსვლელობას...

მაგრამ ყოველ საქმეში ყველა ხორისტი ხომ არ არის; მოძახილიც არის, პირველი, მეთაური, საქმის მოთავე. აი ესენი ნაკლებად ჰყოლია ჩვენს მწერლობას და დღესაც ამ მდგომარეობაში ვართ. ახალი და ახალი ძალა, ახალი ღონე უნდა ემატებოდეს, უმეტესად მომზადებული, უმეტესად მეცნიერების და ცხოვრების ცოდნით შეჭურვილი; ამას შეუძლია წინ-სვლის გზის გაკაფვა, გაკვალვა.

თუმცა ეს ახალ-ახალი ძალა მეტად ნაკლებად ჩნდებოდა წარსულის ხნის ჟურნალ-გაზეთობაში, მართალს ამბობს ბატონი კალამი, რომ მაინც ჩვენის ცხოვრებისათვის მისი (საკუთრად „ივერიის“) მოღვაწეობა უნაყოფო არ იყო, „დროების“ და შემდეგ „ივერიის“ დაფუძნებიდამ მას მიუძღვის ერთი ფრიად მთავარი საქმის დახმარება, რომელიც პირველ საფეხურად ითვლება ყოველის ადამიანისა და ხალხის ისტორიაში: ეს არის ნაციონალური თვითცნობიერება, თავის თავის ცნობა, პატივისცემა, შეგნება კავშირისა თავის ტომთან, აზრი რომ მეც წევრი ვარ დიდის ოჯახისა, დიდის საზოგადოებისა; რომ ამ საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესებით საკუთარის ყოფა-ცხოვრების მოწყობაც გაადვილდება, რომ ამის დახმარება შეუძლიან მწერლობას, ენას, სკოლას, სამკითხველოს, საკრედიტო და სამრეწველო საზოგადოებას და ამხანაგობას და სხვა. ამ აზრისათვის იმუშავა გავლილ დროის მწერლობამ და ბოლოს იმასაც დაეხმარა, რომ საკუთარის ქართველობის რამდენიმე დაწესებულება დაარსდა: ბანკები, გამსესხებელ-შემნახველი და სავაჭრო ამხანაგობანი, წერა-კითხვის საზოგადოება, თავად-აზნაურთა სკოლა, სოფლის სკოლები და სამკითხველოები, შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება, დრამატიული საზოგადოება, სამეურნეო საკრედიტო საზოგადოება და სხვა.

რასაკვირველია, ვინ იტყვის, რომ მწერლობას თავისის სიტყვით, წერით გაეკეთებინოს ყველა ესეები. თუ საზოგადოება არ არის, სიტყვა და წერა ვერაფერს იზამს, მაგრამ მას შეუძლიან აუხსნას მომწიფებული მოთხოვნილება, აღნიშნოს ჩასახებული რაიმე, რაც უმრავლესობისათვის ჯერ შეუნიშვნელია, მაგრამ მომავალში დიდმნიშვნელოვანია; დაეხმაროს მის მომწიფებას. მწერლობა და პუბლიცისტიკა, თუ მიხვდა დროსა და ადგილის საწადელს, თუ დაეხმარა მის ასრულებას, ერთი სიტყვით, თუ შეიტყო და ემსახურა თავის დროის მოთხოვნილებას, ეს მისის მთავარ დანიშნულების შეგნება იქნება.

ქართულმა მწერლობამ შეიგნო დროს მოთხოვნილება და ვგონებ, მისი წარსული ღვაწლიც ამით დაიფასება. ნაკლულევანებაც შეემჩნევა წვრილმანებში, მაგრამ წვრილმანებით ხომ არ სინჯვენ რისამე ღირსებას, არამედ მის მსხვილ მხარეებით. ნუ დაივიწყებთ, რომ ქართული პუბლიცისტიკა, ჟურნალ-გაზეთობა სჯულის მდებელი დაწესებულება, ან მასზე მომქმედი ხმა და მრჩეველი არ გახლდათ. იმისი ხმა მკითხველთა წრეში ტრიალებდა.

„ივერიას“ აყვედრიან, შენ წარსულისაკენა გაქვს პირი და სულ ძველს ეტრფიო, მისი დაბრუნება გინდაო.

ეს საყვედური უსამართლო და უსაფუძვლო ძველი ამბავია. წარმოიდგინეთ, რომ პირველ დღიდგანვე, რაც ქართული ჟურნალ-გაზეთობა დაარსებულა („ცისკარი“ 1852 წ.), ჩვენი გაპისრებული ნასწავლი ქართველებიც ამას ლაპარაკობდნენ: ქართული ლიტერატურა—ძველის გაახლებააო. ჩვენს დროში ამ სტრიქონების დამწერს ქართველ ავტორების გამოცემაში მონაწილეობისათვის, თვით ჩვენი მწერლები არხეოლოგსს მეძახდნენ, როდესაც რომ არავითარ არხეოლოგიურს მუშაობაში მონაწილე არ ვყოფილვარ.

სრულიად სიმართლეს უნდა მოკლებული იყოს კაცი, რომ „ივერიას“ დასწამოს ძველის თაყვანის-მცემლობა და ყველაფრის ძველის მოწონება. საიდამ გამოჰყავთ ეს აზრი? განა, „ივერიას“ უქადაგნია როდისმე ბატონ-ყმობის, ფეოდალობის აღდგენა, გლეხების და ყმების უმამულოდ განთავისუფლება და დატოვება? რომელი ძველებური, მეფობის დროინდელი, დროს გადასული წესწყობილების მომხრეობა გაუწევია? აბა ჩამოსთვალეთ. იქნება ლირიზმით თქმული რაიმე ფრაზა ან კორესპონდენცია სადმე იყოს გამოტყვრენილი და სახელმძღვანელო აზრად სთვლიდეთ? ეს შეცდომაა. თუ ენის შესახებ ლაპარაკი შეგხვდათ, განა, ეს გაზვიადებაა და არა საჭირო საგნის დაუვიწყებლობა? თუ ქართულ სიმღერა-გალობაზედ ულაპარაკნია, ან ძველის შენობის ან მწერლობის ნაშთის შენახვაზე, განა, ეს ყველა განათლებულის ხალხისაგან უარ-ყოფილია? სრულებით ჩვენის მწერლობის უცოდინარი უნდა იყოს კაცი, რომ ძველის თაყვანის-მცემლად აღიაროს „ივერია“ და მის წინა „დროების“ მიმართულება. რატომ არ უნდა იცოდეთ, რომ „დროების“ და „ივერიის“ მთავარი მწერლები მესამოცე წლების რუსული ლიტერატურის გავლენის ქვეშ ალიზარ-

40 კ. და ცალ-ცხენა—25 კ., რკ. გ. ვაკზლამდე: პირველ (ვერის ხიდით), მე-2, 3, 4, 5 და მე-8 უბნიდგან: რეზ. ეტ.—55 კ., ურეზ.—45 კ. და ცალ-ცხენა—30 კ., ვაკზლიდგან: რეზ.—70 კ., ურეზ.—60 კ. და ცალ-ცხენა—45 კ., მე-6 და მე-7 უბნიდგან: რეზ.—70 კ., ურეზ.—60 კ. და ცალ-ცხენა—45 კ., ვაკზლიდგან მე-6 და მე-7 უბანში წასვლა: რეზ.—80 კ., ურეზ.—70 კ., და ცალ-ცხენა—55 კ., ნავთლუღიდგან: რეზ.—80 კ., ურეზ.—70 კ., და ცალ-ცხენა—55 კ. ვაკზლიდგან ნავთლუღამდე: რეზ. —90 კ., ურეზ.—80 კ. და ცალ-ცხენა—65 კ., მე-9 და მე-10 უბნიდგან ვაკზლამდე: რეზ.—35 კ., ურეუზ.—30 კ. და ცალ-ცხენა—20 კ., ვაკზლიდგან მე-9 და მე-10 უბნამდე, რეზ.—50 კ., ურეზ.—40 კ., და ცალ-ცხენა—25 კ.

დოლის მინდვრამდე, ან იქიდან წამოსვლა: პირველ (ვერის ხიდით), მე-2. 3, 4, 5, 6, 7 და მე-8 უბნიდგან: რეზ.—70 კ., ურეზ.—60 კ., და ცალ-ცხენა—45 კ., ნავთლუღიდგან: რეზ.—80 კ., ურეზ.—70 კ. და ცალ-ცხენა—55 კ. მე-9 და მე-10 უბნიდგან: რეზ.—50 კ., ურეზ.—40 კ. და ცალ-ცხენა—25 კ.

დიდუბეს, ან იქიდგან: პირველ (ვერის ხიდით), მე-2 2, 3, 4, 5 და მე-8 უბნიდგან: რეზ.—60 კ., ურეზ. —50 კ. და ცალ-ცხენა—35 კ. მე-6 მე-7 უბნიდგან რეზ.—70 კ., ურეზ.—60 კ. და ცალ-ცხენა—40 კ. ნავთლუღიდგან: რეზ.—80 კ., ურეზ.—70 კ. და ცალ-ცხენა—55 კ.

ორთაჭალას, ან იქიდგან: 1, 2, 3, 4, 9 და მე-10 დგან: რეზ.—50 კ., ურეზ.—40 კ. და ცალ-ცხენა—30 კ. მე-5, 7 და მე-8 უბნიდგან: რეზ.—40 კ., ურეზინთ—35 კ. და ცალ-ცხენა—25 კ. მე-6 უბნიდგან: რეზ.—35 კ., —ურეზ.—30 კ., და ცალ-ცხენა—20 კ.,

კრწანისის ბაღებამდე, ან იქიდგან: 1, 2, 3, 4, 5, 8, 9 და მე-10 უბნიდგან: რეზ.—1 მან., ურეზ.—90 კ. და ცალ-ცხენა—75 კ. მე-9 და მე-7 უბნიდგან (მნაცაკანოვის ხიდით), რეზ. —80 კ., ურეზ.—70 კ. და ცალ-ცხენა—50 კ.

წინანაურის მონასტრამდე, ან იქიდგან: 1, 2, 3, 4, 5, 8, 9 და მე-10 უბნიდგან: რეზ.—1 მან. 20 კ., ურეზ.—1 მან. და ცალ-ცხენა—80 კ. მე-6 და მე-7 უბნიდგან (მნაცაკანოვის ხიდით): რეზ.—1 მ., ურეზ.—90 კ. და ცალ-ცხენა—75 კ.

მდინ. ვერის გაღმა, ან იქიდგან: პირველ უბნიდგან: რეზ.—40 კ., ურეზ.—30 კ, და ცალ-ცხენა—20 კ. დანარჩენ უბნებიდგან: რეზ.—50 კ., ურეზ.—40 კ. და ცალ-ცხენა—25 კ.

წმ. ბარბარეს ეკლ. ქალაქის სასაკლაომდე, სადგურ ნავთლუხამდე და ებრაელების სასაფლაომდე, ან იქიდგან: 1, 2, 3, 4, 5, 6, 8, 9 და მე-10 უბ-დგან რეზ.—1 მ., ურეზ. 90 კ.. ცალ-ცხენა—75 კ. მე-7 უბნიდგან: რეზ.—70 კ., ურეზ.—60 კ. და ცალ-ცხენა—45 კ. ნავთლუხიდგან-კი—რეზ.—35 კ., ურეზ.—30 კ. და ცალ-ცხენა—20 კ.

ქალაქის გარეთ:

მდ. ვერის გაღმა ბანაკებამდე, ან იქიდგან: პირველ უბ-დგან: რეზ.—70 კ, ურეზ.—60 კ. და ცალ-ცხენა—45 კ. დანარჩენ უბნიდგან—რეზ.—1 მ. ურეზ. —90 კ. და ცალ-ცხენა—75 კ.

თბილისისა და მეგრელის პოლკის ბანაკამდე: მე-7 უბ-დგან: რეზ. 35 კ., ურეზ.—30 კ. და ცალ-ცხენა—20 კ. დანარჩენ უბ—დგან—რეზ.—50 კ., ურეზ. —40 კ. და ცალ-ცხენა—25 კ.

ახალ წლის პირველს დღეს, 6 იანვარს, და აღდგომის პირველს ორს დღეს დაწესებულ ნიხრს მიემატება თითო წასვლაზე—20 კ., თუ სადარბაზოდ სასიარულოდ დაიჭირეს—საათში — 1 მ. 20 კ.

◆ მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, ეგზარხოსი საქართველოისა არხიეპისკოპოსი ალექსი აკურთხებს მართლ-მადიდებელ სასულიერო სემინარიის ახალ შენობის საძირკველს 20 თიბათვეს.

ალაგობრივის ცხოვრების ამბები

თელავის სამოქალაქო სასწავლებელში წრეულს შესრულა კურსი და მიიღო ატესტატი 15 ყმაწვილმა. ამათგან ერთი რუსია, ექვსი სომეხი და რვა ქართველი.

—

ქართლში წელს ალაგ-ალაგ კარგს მოსავალს მოელიან ჭირნახულისას. ვენახებიც ზოგან, მართალია, გაფუჭდა, მაგრამ ზოგან რიგიან მოსავალს ჰპირდება ხალხს. ხილი ბევრად უფრო ნაკლები მოვა წელს, ვიდრე შარშან იყოვო.

—

ქუთაისის ხმოსანთა არჩევნები უკვე განუსაჩივრებიათ. დამატებითი არჩევნები ხმოსანთა და მათის კანდიდატებისა დანიშნულია შემდეგის კვირისათვის. ქალაქის მოურავსა და გამგეობის მეორე წევრს აირჩევენ ივლისის დამდეგსაო.

აბრეშუმის პარკის ფასი 15 მანეთამდე ავიდა ფუთზეო.

—

იყალთო. აქაური ახალგაზდობა კარგად ასრულებს თავისს მოვალეობას. დააარსეს სახალხო ბიბლიოთეკა, რომლიდგანაც იყალთოსა, რუის პირის და აწყურის გლეხები იღებენ სულიერს საზრდოს. სასიამოვნოა, როდესაც კვირა დღეობით წაგნებს ურიგებენ: „კნიაჟნა მარო, კარგი წიგნი ამომირჩიეთ.“ „კნიაზო მიტო, კარგი ლექსები უბოძე ჩემ გოგოს, ლექსები ძალიან უყვარს.“ ასეთი სიტყვები ისმის აქეთ-იქიდგან, წიგნებს რომ ურიგებენ. მე ერთხელ შევხვდი ამ სცენას დ განცვიფრებული შევცქეროდი სოფლის პატარა ქალ[illegible]ბს, როცა ერთმანეთს ართმევდნენ წიგნებს ხელიდან.

სტუმარი.

—

ვაჭევი (შორაპნის მაზრა). ეს სოფელი მდებარეობს დაბა ჭიათურიდან ჩრდილოეთ-დასავლეთის მხრით ათის ვერსის მანძილზედ. ეს მანძილი თუმცა ძალიან დიდი არ არის, მაგრამ უგზოობის გამო მაინც დაშორებულია. სოფელს ძალიან ღარიბი ნიადაგი აქვს. მკვიდრთა შორის ათს თუ ეყოფა სარჩო, ისაც სიმინდი, ღვინო ხომ საზიარებლადაც არ იპოვება, თუმცა ამ შვიდი-რვა წლის წინად აქ შეხვდებოდით მშვენიერ ფხაჭუნა ღვინოს, რომელიც აკმაყოფილებდა მამა-პაპურ გემოვნებას.

დღეს დრონი იცვალნენ. ის ვაზები, რომელნიც ფხაჭუნა ღვინოს გვაძლევდენ, გაგვიხმა და, მაშასადამე, ჩვენც ცვლილების გზას უნდა დავდგომოდით, ე. ი. უნდა გაგვეშენებინა ამერიკული ვაზი, რომელიც ერთად-ერთი საშუალებაა ეხლანდელის მამულის გაუმჯობესებისა; მაგრამ იძულებული ვართ თავი დავანებოთ, რადგანაც დიდ ხარჯსა და სხვა-და-სხვა იარაღებს ითხოვს და ჩვენ არა-თუ ამის ხარჯი, არამედ ჩვეულებრივი გადასახადიც ვერ გაგვისტუმრებია და ხშირად გვინახავს ამ სოფელში ამავე საზოგადოების მოხელეებისაგან დარბევა: გაუყიდიათ ტამტი, თუნგი და სხვა ამისთანა ოჯახის ავეჯეულობა.

შეშა და საბალახე აქ სრულებით არ არის. ერთი სიტყვით, ეს სოფელი ნივთიერად ძლიერ დაქვეითებულია და ამის მომავალი მხოლოდ ღმერთმა იცის რა იქნება.

რაც შეეხება გონებრივ წარმატებას, არც ეს არის აქ დაყენებული სასურველ ნიადაგზედ. სწავლის სურვილი გაღვიძებულია, მაგრამ მასწავლებელი არა გვყავს და აქაური სამრევლო სკოლა წარმოადგენს მხოლოდ არარაობას, თუმცა ათი წელიწადია, რაც დაარსებულა მ. მამა სპირიდონ ბრეგვაძის თაოსნობით, რომელმაც მრავალს გლეხის შვილს გაუღვიძა სწავლის სურვილი, რასაკვირველია, სანამ იგი მღვდლად ეკურთხებოდა, შემდეგ-კი პირ-ღია დარჩნენ საწყალი გლეხის შვილები. მაგრამ ვგონებ ახლა მაინც იბრუნა ბედმა ჩვენსკენ პირი და ამ საზოგადოებაში გვიარსდება ორკლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელიც ცოტა ხანში დაიწყებს მოქმედებას.

კავკასია

რუსულ გაზეთებში ერთი ორონ-ტრიალია იმის შესახებ, რომ ვითომ მანთაშევსა და მის მიერ დაარსებულ სააქციონერო საზოგადოებას ათას-გვარი ბოროტ-მოქმედება ჩაედინოს და ისე ეკრიჭნოს თავისი აქციონერები, როგორც ცხვრებსა ჰკრეჭენ დუქარდით მეცხვარენი გაზაფხულ-შემოდგომაზედა. ეს ორონ-ტრიალი დაიწყო გაზ. „Гражд.“-ნმა. გაზაფხულზედ სიყალბით ასწიეს ფასი აქციებისა მანთაშევმა და კამპანიამ, და მიჰყიდეს ხალხს დიდ ფასადა, ხოლო შემოდგომაზედ განგებ დასწიეს ფასი მათი და თითონვე შეისყიდეს აქციები და ამ აპერაციით აუარებელი ქონება შეიძინესო. ამ გაზეთის ფეხის ხმას აჰყვა მეორე გაზეთი, რომელიც ამისთანა ამბებს სუნით ეძებს, სახელდობრ „Нов. Вр.“, თან ეს გაზეთი ფრთხილობს, სად არის საბუთი, რომ მანთაშევი და მისი კამპანია ისე იქცეოდა, როგორც „Гражд.“-ინი ამბობსო. თუ საბუთია, თუ მანთაშევი აქციონერებს დივიდენდს არ აძლევდა, განგებ აუწევდა ხოლმე აქციების ფასს, მერე დასწევდა და ამაზედ მილიონებს იგებდა, რატომ ასე გაკრეჭილი აქციონერები არ მიჰმართავენ პროკურორსაო. მიეცით საბუთი პროკურორს და მანთაშევი და მისნი დამქაშნი იქ ამოჰყოფენ თავს, საცა ჯერ არსო. საბუთი, საბუთიო, და მართლაც, ვიდრე ამისთანა ბრალდებას გამოსთქვამდეს გაზეთი კაცზედ, ან სააქციონერო საზოგადოების გამგეობაზედ, უპირველეს ყოვლისა საჭიროა საბუთი, დამტკიცება იმისი, რომ მართლა ბოროტ-მოქმედება ყოფილა, დარღვევა წესდებისა, ყალბის ანგარიშების წარდგენა და სხვ.

უსაბუთოდ პროკურორი ხმასაც არ ამოიღებს. უსაბუთოდ არც გაზეთმა უნდა ამოიღოს ხმა. საქმე ჩხავილი არ არის, საქმე საბუთების შეკრებაა, დამტკიცების დაჭერაა ხელში.

რუსეთი

როგორც ფინანსთა სამინისტროს მიერ მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, სამხრეთ-იტალიის რკინის გზათა საზოგადოებას გადაუწყვეტია, რომ სიცილიაში მომუშავე ლოკომოტივები ნავთით მოიყვანონ მოძრაობაში. ამის გამო რომში მყოფი რუსეთის საკონსულო ატყობინებს რუსეთის ნავთის მწარმოებელთ, რომ მათ დროზედ აცნობონ ზემოხსენებულ საკონსულოს თავისი სურვილი, თუ მოიწადინებენ სამხრეთ-იტალიის რკინის გზათათვის საჭირო საწვავ მასალის დამზადებას. ამგვარად სამხრეთ-იტალიაშიაც ეხსნება ბაზარი ჩვენს ნავთს.

— ადესიდგან იუწყებიან, რომ დიდ ფანტანზე ერთი მეტად შემაძრწუნებელი მკვლელობა მომხდარა. 23 წლის კარპე ათანასიევს ღორის დასაკლავ დანით მოუკლავს საკუთარი მამა—არტემ ათანასიევი. მაგრამ ამ მხეცობაზედ უფრო კაცს ის აკვირვებს, რომ არტემის ქვრივი, რომელიც 36 წელი სცხოვრობდა თავის ქმართან და დანარჩენი ოჯახის წევრნი, თითქმის არავითარ გულმტკივნეულობას არ იჩენენ საბრალო მოხუცისადმი.

— როგორც რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, მთავრობას დაუდგენია, რომ ებრაელებს მანჯურიაში ცხოვრებაც აეკრძალოსო.

— „Ур. Жизнь“-ს სწერენ კოჩკარიდგან, რომ მიხეილის საზოგადოების ოქროს მაღანში ხელ-ახლად გაჩაღდა მუშაობა. ხუთი თვის წინად-კი „ოქროს ძარღვი“ დაეკარგათ და საზოგადოება სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, მაგრამ მხცოვან ინჟენერ ა. პ. ვორონიკოვის გამოცდილებამ საქმე ისევ გამოაკეთა: მან მიაგნო დაკარგულ ძარღვს და დღეს 20 გირ.—1 ფუთ. ოქრომდე იძლევა მაღანი, ასე რომ რამდენსამე თვეში 500,000 მანეთს მაინც აიღებს საზოგადოება ამ მაღნიდგანაო.

— ინჟენერ ჟადოვსკის კისლოვოდსკში აღმოუჩენია „რბილი ქვა“, რომელიც ზოგიერთ ქიმიურ პროცესის შეწყობით სრულებით ითქვიფება და მისი ყალიბში ჩამოსხმა მეტად ადვილდება; ამგვარად შესაძლოდ ხდება, რომ სახლის მთლიანი კედლები, სახურავები, აუზები და სხვა ჭურჭლეულობა ჩამოასხას კაცმა. დიდი ღირსება ამ ქვისა მასში მდგომარეობს, რომ მეტად მაგარია—გატეხაც არ უხერხდება. ჩვენის აზრით, ამ ქვას დიდი მომავალი უნდა ექმნეს.

— შტაბს-კაპიტანი მე-264 გორის პოლკისა—გედევანიშვილი ახალს 66-ს სარეზერვო ბრიგადის უფროს ადიუტანტად დაინიშნა.

— დამტკიცდა და მალე გამოქვეყნდება ახალი სადამოჟნო წესდება, რომელიც 1 მკათათვიდგან იქნება შემოღებული.

უცხოეთი

ინგლისი. კიტჩენერის დაბრუნება ინგლისში ზავის ჩამოგდების სამი კვირის შემდეგ აქ მიაჩნიათ საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთად იმისა, რომ ბურებმა სწორედ გულ-წრფელად აღიარეს ინგლისის ქვეშევრდომობაო. კიტჩენერის გარდა ინგლისში მოელიან ამ საქმეში მისს თანამშრომლებს ბურების გენერლებს: ბოტას, დელარეის და დევეტს, რომელთაც კიტჩენერზედ კიდევ უფრო დიდის ამბით უპირებენ დახვედრას.

— თიბათვის 6 ირლანდიის საქმეთა მინისტრმა უინდგემმა საზოგადოებათა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობა ირლანდიელთა სურვილისამებრ მზათაა გაიყვანოს მიმდინარე სესიაში ირლანდიის საადგილ-მამულო ბილლი, მაგრამ ამისათვის საჭიროა ბილლიდგან ზოგიერთ მუხლების ამოშლა, რადგან იგინი უთანხმოებას იწვევენ. ამიტომაო, განაგრძო მინისტრმა, თვით ირლანდიის დეპუტატებმა გვიჩვენონ, რა და რა მუხლების ამოშლაა სასურველიო.

ავსტრია-უნგრეთი. ჩეხების მინისტრი—რეზეკი—მიიღო იმპერატორმა აუდიენციაზედ, რომელზედაც მინისტრმა ჩეხელთა პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგინა მას. როგორც ვიცით, ეს მდგომარეობა ბოლო ხანებში საუკეთესოდ შეიცვალა. წინად-კი რეზეკის გადაყენებით ჰსურდათ ზიანი მიეცათ ახალ-ჩეხების კლუბისათვის, რომელიც მეტად მტრულად ეპყრობოდა მთავრობის მიმართულებას; მაგრამ მან ეხლა დაანება თავი მტრულ მოქმედებას და, რეზეკიც, იმპერატორისავე თხოვნით, ისევ მინისტრად რჩება.

საფრანგეთი სენატში გაცხარებული კამათია სამხედრო სამსახურის ვადის ორ წლამდე შემცირების კანონ-პროექტის გამო.

საერთო კამათი მონარქისტ-სენატორის დეგულენის სიტყვით დაიწყო. მისის აზრით, ეს რეფორმა სრულებით აღმოჰფხვრის ჯარში სამხედრო სულს, შეასუსტებს მის თვისებას და სახელმწიფოსაც დიდს ხარჯებში ჩააგდებს. გულენის აზრს მიემხრო სენატორი მეზიერიც. მან განაცხადა, რომ არ მესმის ოპტიმისტობა იმ ორატორთა, რომელთა აზრითაც, რაც ნაკლებად იმსახურებს ჯარის კაცი, მით უკეთ ეცოდინება თავისი ხელობაო (ასტყდა სიცილი). რა საბუთი გაქვსთ იმისა, რომ სენატორი როლანი არა სცდება? ჩვენ მაგალითად გვიყენებენ გერმანიას, რომელმაც ორის წლის ვადა დააწესაო: მაგრამ ამ მიზეზი სულ სხვა იყო. ჯერ ერთი, რომ გერმანიამ მხოლოდ ქვეითა ჯარში შემოიღო ეს ვადა; მეორეც უფრო საპატიო მიზეზი ის იყო, რომ მას ბევრზედ-ბევრი ახალგაზრდობა ჰყავს სამხედრო ზეგარა მოსახდელი და უნდა, რომ ყველას შეასწავლოს სამხედრო სამსახური; ამისათვის-კი აუცილებლად გაუხდა ვადის შემოკლება. საფრანგეთს სადა ჰყავს ჯარში ახალგაზდობა? ნურც იმას დაივიწყებთ, რომ გერმანიას თვალსაჩინო კადრი ჰყავს, რომელიც 145 ათას უნტერ-ოფიცრისა, გერალისა და გამოცდილ ჯარის კაციდგან შესდგება და დღეს განმეორებით სამსახურში იმყოფება.“ ორატორმა თავისი სიტყვა მით დაამთავრა, რომ ყოველგვარი შეღავათი—განათლებით, თუ საოჯახო მდგომარეობით, უეჭველად უნდა უარ-ვყოთო. მის შემდეგ სენატორმა ლამარზელმა ილაპარაკა და განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ როლანის პროექტი „სამხედრო სულს“ სრულებით განაქარწყლებს ჩვენს ჯარშიო. მაგალითად გერმანელი ჯარი მოიყვანა, რომელშიაც ეს „სული“ დიდად არის განვითარებული. ამ შედარებამ სენატორებისა და თვით სამხედრო მინისტრის მხრივ დიდი პროტესტი გამოიწვია; უკანასკნელმა შენიშნა, რომ „ფრანგი ჯარის კაცი გერმანელს ბევრად სჯობიაო.“

— კაბინეტის თავმჯდომარემ კომბმა მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზედ სახელმწიფო სამსახურში მოხელეთა გამწესების გეგმა წარადგინა. მისის აზრით, სახელმწიფო სამსახურში მხოლოდ ისეთი პირები უნდა მიიღონ ხოლმე, რომელნიც ერთგულნი არიან რესპუბლიკურ მმართველობისაო.

ამერიკის შეერთებული შტატები. გასულს ხუთშაბათს ამერიკის სენატმა 67 ხმის უმეტესობით (წინააღმდეგ 6-სა) გადასწყვიტა პანამის არხის გაყვანა. სენატის დადგენილებ

დნენ. იმათ იცოდნენ, რომ ეროვნების თვითცნობიერების გამოღვიძების დროს არის ბევრი საგანი, რომელიც უშლის, აბრკოლებს უმეტესის სისწრაფით წინსვლას. ეს დაბრკოლება, შინაგანი და გარეგანი, მწერლებს გაზომილი ჰქონდათ; ამასთან იცოდნენ თავის დროს საჭიროება. ყოველ ისტორიულ ხანაში, ყოველს ადგილს თავისი ისტორიული საკისრებელი საგანი აქვს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, თავისი ამოცანა (задача). ამისი ასრულება იკისრეს და მით ლიტერატურის ერთი ძვირფასი მოვალეობა აასრულეს. ამას მაინც დღეს არავინ უარს არ ამბობს და ბევრჯელ ულიარებიათ.

დიდებული აზრები მეცხრამეტე საუკუნისა ადამიანის და ხალხების ყოფა-ცხოვრების მოწყობაზე შორიდგან აფრთოვანებდა და სულის ძლიერებას აძლევდა დაბეჩავებულ მდგომარეობაში და გარემოებაში მომუშავე ჩვენს მწერლებს. თუ სამშობლო ქვეყნის და ხალხის, ერთი სიტყვით, მამულის მოყვარეობა ალაპარაკებდა უფრო ლირიზმის ენით, მასთან შეერთებული იყო კოსმოპოლიტური შემეცნება და რწმენა. ბედნიერება ჩვენის ხალხისა, ბედნიერება ყველა ქვეყნის ხალხებისა ერთისა და იმავე გულის სანატრელი იყო. მწერლობაში ამასთანავე პატივის ცემის გრძნობა იხატებოდა, რომ კავკასიის ყოველ ერს თავის მიწა-წყლის საზღვრებში არავინ შეეხოს მეზობელთაგანი; ურთიერთი განწყობილება დამყარებული იყოს მშვიდობიანს და პატიოსანს ნიადაგზე საერთო კეთილდღეობისათვის. თუ რაიმე გამომტყვრალა, რომლისამე ხალხის წინააღმდეგი, უფრო იმ დროს, როდესაც მოსული მევახშე ელემენტი თავის პრეტენზიას აჩენდა, რომ იფარფაშოს მკვიდრ მცხოვრებლებზე და მის ტერრიტორიაზე.

დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

მწერლობის თანამშრომლობით წარსულ დროს რაც გაკეთდა, იმას ეჭირება გაუმჯობესება, შევსება, გაფართოვება, გაძლიერება. ამ გაძლიერებას კიდევ რთული მუშაობა მოეთხოვება და ამ მუშაობას ახალი, მომატებულად მომზადებული, მომატებულად ბეჯითი შრომა ახალის და ახალის თაობისა.

ზემოდ მოხსენებულ დაწესებულებათ გარდა მომავალში ბევრი რამ დასაწესებელია. ამისთვის თეორიული მსჯელობა საჭიროა, მაგრამ დღეს მასთან საჭიროა, რომ წერასთან პრაქტიკულადაც მოსაწყობი საქმეები კარგად შემუშავდეს.

დრო მოითხოვს ევროპიულის კულტურით შემუშავებულის ნაყოფის მიღებაო. დიაღაც, ჭეშმარიტია. მაგრამ იმას ცოდნა უნდა, რომ პრაქტიკულად არსებაში მოვიყვანოთ ჩვენს ქვეყანაში.

აი მაგალითად, ჩემის აზრით, ისტორიულ საწადლად მიმაჩნია ის გარემოება, რომ დღეს უმთავრესი ჩვენი მეცადინეობა მივაპყრათ ქართველობის მიწა,წყალს. საქართველოს მიწა-წყალი (ტერრიტორია) შერჩეს ქართველობას; მიწათ-მოქმედი, პატარა მამულიანი მრავალია და სახნავ-სათესის მომატება ეჭირვება; ბოგანო, უმიწო გლეხი ნაკლებია რიცხვით, მაგრამ მაინც ცოტა არ არის; მამულები-კი ბევრგან უშენებელია მოსახლეობით. ამის გამო ხალხი ვერ მომრავლებულა. თუ ხალხის მოყვარენი ვართ და მისი სიკეთის მზრუნველნი, მიწის შოვნას რაიმე ღონისძიება უნდა ვუპოვნოთ. მაგრამ ეს სიტყვით-კი არ შეიძლება, ამას შემუშავება უნდა, დაწესებულება ეჭირვება ისევე, როგორც დავაწესეთ ბანკები, საზოგადოებანი, ამხანაგობანი და სხვა. წერა ხომ საჭიროა, მაგრამ ეს მარტო სიტყვაა. საქმეს ორგანიზაცია, უნდა, გეგმა, წესდება, პირობა და ამაებს ვერ გავაჩენთ, რუსები რომ იტყვიან отсебятин-ით. ჩვენ უნდა გაცნობილი გვქონდეს სხვა ხალხებში, ევროპაში, როგორის ღონით და როგორის წესით აქვთ მოწყობილი რომელიმე საქმე. ამასთან ერთად ისიც უნდა შევისწავლოთ, როგორი პრაქტიკულად მოსახერხებელი ღონეა თვით ხალხში, რომ მოვაწყოთ ამისი გაარსება, განხორციელება.

ცხოვრებამ წამოაყენა მეორე საჭიროება—მსხვილის და მეტადრე წვრილის კრედიტის მოპოვება. უამისოდ იხრჩობა ჩვენი სოფელიც, დაბაც და ქალაქიც. დიდი საზრუნველი საგანია დღევანდელის დღისათვის, როგორ უნდა მოთავსდეს და გაარსებულ იქმნას ჩვენში ამისი შექმნა, როდესაც უბრალო გამსესხებელ-შემნახველ ან მოვაჭრე ამხანაგობათა ისტორია თვალ-წინ გვეშლება. ამის შემუშავება მწერლობის მოვალეობაა.

მესამე საგანი ჩვენის დროისა, მაგრამ რა ჩვენის დროისა? ეს ყოველთვის, ყოველ ისტორიულ ხანაში საზრუნველი საგანი იქნება—თვით ლიტერატურის მდგომარეობის გამტკიცების და მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმე. მისი არსებობა შეერთებულია ჩვენს არსებობასთან, მისი სისუსტე ჩვენის ულონობის ნიშანი იქნება და მისი წარმატებითი სვლა—ჩვენის წარმატებისა.

განა, მარტო ეს არისო, შეიძლება გვკითხონ, თქვენი გეგმა ჩვენის ყოფაცხოვრების წინ წამყვანი?—რად არ აღნუსხავთ ამას და ამასაო?.. დიაღაც ბევრია უფრო ამაზე საჭირო, ვრცელი, ძლიერის გავლენის მქონებელი.

მაგრამ... ჩვენ აქ მოვიხსენეთ ის საგანი, რომელიც ქართველ ხალხს და საზოგადოებას თავისის ძალ-ღონით შეუძლია დაიარსოს, განახორციელოს დღევანდელ ისტორიულ გარემოებაში. ჩვენ პირველად უნდა გავაღვიძოთ ჩვენში სხვის დაუხმარებლად, ჩვენის თავის შველა. სხვის იმედით, გარეშე იმედით ცხოვრების წინსვლა შეუძლებელია. პირველი იმედი ჩვენი თავია, რუსთველის სიტყვა ჩვენზეა გამოჭრილი:

> თუ თავი შენი შენ გახლავს,
> ღარიბად არ იხსენები.

ამაზე იქნება თქვათ, თუ-კი „არ გახლავსო.“ ეს...ეს...რა ეს?... აქეთაც მოატრიალებ, იქითაც, და უფრო აქეთს დააკვირდები. თუ ჩემკენ, ჩემში რამ სიცოცხლის ღონისა ნიშან, წყალი შემრჩენია, შემიძლია ვთქვა, რომ „თავი ჩემი მე მახლავსო“. თუ არა და წყალ წასაღები-კი არა, წყალ-წაღებული ვყოფილვარ.

ცხოვრებას მრავალი რთული საგანი აქვს. მწერლობასაც იგივე, მაგრამ, კიდევ გავიმეორებ, მრავალ საგანში ჟამთა ვითარების მიხედვით ამოსარჩევი აქვს ორიოდე საქმე, რაზედაც ხელი მიუწვდება. ამ საშუალებით შესაძლებელია თან-და-თანობით მკვიდრი ბიჯი გადასდგას და ამ ნაბიჯს მტკიცე კვალი აღაბეჭდინოს წარსულში მომავალის ბიჯის წინ წასაწევად. მწერლობის მოვალეობაა გამოარკვიოს, რომელი საგანია მომწიფებულ და უეჭველად საჭირო თანამედროვე წამში. მას მაგრად და მაღლად უნდა ეჭიროს კამერტონი, მფლობელი შეიქმნეს შეგნებით ამორჩეულის წამისა აღნიშნულ დროს. პუბლიცისტიკის ძალა ამაშია. თუ მარჯვედ შ-ურჩევია დროცა და საგანიც, მწერლობი ხმას აჰყვება საზოგადოებაც და ხალხიც. თუ არა და მწერლობის მუშაობას სუსტი გავლენა ექმნება თანამედროვე საზოგადოებაზედ.

მწერლობის სისუსტეს აღარ შევეხები, რაც ერთხელ გამოუთქვამს ამ სტრიქონების დამწერს („ივერია“ 1891 წ. № 225 ოქტომბრი 24, „ჩვენს მწერლობაზედ“ და „მოამბე“ 1895 წ. № II „გასამრჯელო სალიტერატურო შრომისათვის“).

მართალია, „ივერია“ უკანასკნელს წლებში სუსტობდა, მაგრამ ეს მთლად ჩვენი მწერლობის სისუსტე იყო. ამ ორიოდე წელ ახალი თაობა გამოვიდა მწერლობის ასპარეზზედ და მოდუნებული ხმა რამდენადმე გამოცოცხლდა. ახალთაობას დიდი ხანია იწვევდ ჩვენი მწერლობაცა და „ივერიის“ ფურცლებზედაც შეგვხვდებოდათ ამ გვარი მოწოდება.

დღეს რაც უნდა ითქვას ახალთაობის ნაწერობაზედ, მის შრომაზედ, მიმართულებზედ, უნდა აღვნიშნოთ, რომ წინა წლებთან შედარებით ჩვენს მწერლობას დაეტყო სიცხოველე, აზრების დუღილი. რამდენადაც უფრო და უფრო მოემატა ახალი ძალა, უმეტესად მომზადებული, მშრომელი, ამ ღონ შემატებისაგან უმეტესს სიცოცხლეს და ნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთი იყო: „ორ ოკეანეთა შემაერთებელი არხი პანამაზედ უნდა გავსჭრათ, თუ პრეზიდენტი რუზველტი შესძლებს 40 მილიონ დოლარად (200 მილიონ ფრანკად) მოიპოვოს ყოველივე უფლება-პრივილეგიები საფრანგეთის პანამის საზოგადოებიდგანაო. თუ ეს შეუძლებელი გახდეს, პრეზიდენტმა არხის გაყვანა ნიკარაგუაზედ უნდა ითაოსო“. სენატის მიერ პანამის მიმართულების მოწონება რკინის გზის იდ კამპანიების ზედგავლენით უნდა აიხსნას, რადგან ამათის აზრით პანამაზედ გაყვანილს არხს ნაკლები ზარალის მოტანა შეუძლია მათთვის, ვიდრე ნიკარაგუაზედ გაყვანილსა. პანამაზედ არხის მომხრეებმა ისარგებლეს ანტილიის კუნძულებზედ მომხდარ უბედურებით და ყველას ყურები გამოუჭედეს, რომ ნიკარაგუაზედ გასაყვანი არხი ვულკანიურ ნიადაგზედ გაივლის და მუდამ მის დაქცევის შიშში უნდა ვიყვნეთო. ამ საეჭვო საბუთმაც, ცოტა არ იყოს, იმოქმედა სენატორთა გადაწყვეტილებაზედ. მაგრამ პანამის მოწინააღმდეგეთ დიდი ბრძოლა გაუწიეს მთავრობას. სენატორმა კლარკმა განაცხადა, რომ პანამაზედ არხი დიდ უბედურობას უქადის მთელს ამერიკასაო.

უნდა გვახსოვდეს, რომ სენატის დადგენილება კიდევ არ ნიშნავს საქმის საბოლოოდ გადაწყვეტას. ამას წინად პალატის წარმომადგენლებმა თითქმის ერთხმად გადასწყვიტეს არხის გაყვანა ნიკარაგუაზედ და არა პანამაზედ. ეხლა არ იცის კაცმა, ამ ორ აზრთაგან საბოლოოდ რომელი გაიმარჯვებს.

საფრანგეთი. ზოგიერთი გაზეთები ხმას ავრცელებენ, რომ სასჯულო საქმეთა მინისტრი ვალლე—სამსახურს თავს ანებებსო. მიზეზად ასახელებენ, რომ ვალლემ ქ-ნის ემბერის საქმის შესახებ მეტად მოურიდებლად ილაპარაკა გაზეთების წარმომადგენლებთანაო. მაგრამ ეს ხმები ჩვენ გადაჭარბებული გვგონია; რასაკვირველია, ვალლეს თავ-შეუკავლობით მინისტრები გულნატკენნი არიან, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ მას სამინისტროში აღარ დაედგომებოდეს.

სხვა-და-სხვა წერილები

ტფილისის სასულიერო სემინარია და მისი საოლქო სასულიერო სასწავლებლები

III

როგორც მოვიხსენიეთ, მთელი კურსი გეოგრაფიისა ორს კლასშია მოთავსებული; საზოგადოდ გეოგრაფიაში მრავალი სახელებია და განსაკუთრებით რუსეთის ვრცელ გეოგრაფიის დაწვრილებით შესწავლა და ზედ მეტად მონასტრებისა და შესანიშნავ ტაძრებისა, თხოულობს მრავალ სახელების დახსომებასა. ყველამ იცის, რომ მოკლე დროს ბევრ ახალ სახელის დასწავლა ჯერ ერთი, ძნელია და მეორე—ამნაირად დასწავლილი მალე ავიწყდება ბავშვს. ეს ანბანური პედაგოგიური მოთხოვნილება დავიწყებულად უნდა ჩაითვალოს, როცა მთელი კურსი ორ წელიწადზედ არის გაყოფილი და მის შესასწავლად ერთ კლასში სამი და მეორეში ოთხი გაკვეთილია დანიშნული.

რუსულის ენის მართლ-წერის, სიტყვაზედ ხმის ამაღლების და გამოთქმის კილოს ანუ აქცენტის სიძნელეზედ არას ვიტყვი, მოვაგონებ მხოლოდ მკითხველს, რომ ეს სიძნელე ვერ დასძლია თვით ბისმარკის გამჭრიახმა გონებამ, თუმცა ექვსი წელიწადი ბეჯითად სცდილობდა მის დაძლევასა. ესეც რომ არ იყოს, საკმარისია მოვიგონოთ საზოგადო დრტვინვა, რომ გიმნაზიებს ვერ დაუძლევია ეს სიძნელე და რომ უნივერსიტეტთა ახალგაზდობა, თუმცა გიმნაზიებში კურს-შესრულებულთაგან რჩეულებად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ეს ნაკლი საზოგადო მოვლენად იქმნა აღიარებული და უთვალავი ცირკულიარები გამოიწვია, რუსულ მართლ-წერის შესწავლას მიაქციეთ ყურადღებაო. მოგეხსენებათ, თ-დი ბისმარკი და გიმნაზიის მოსწავლენი უფრო უკეთეს სამოსწავლო ვითარებაში იქმნებოდნენ, ვიდრე სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეთა ნახევრად მშიერ-შიშველთა გუნდი! ამის-და მიუხედავად, სემინარიაში შემსვლელთა გამოცდის დროს გამომცდელნი სცდილობენ ისეთი ფრაზები დააწერინონ, რომლების მართლ-წერა ძნელია და თვით გამომცდელთა შორის გამოიწვევს სხვა-და-სხვაობას აზრისას. ხშირად მოჰხდომიათ კამათი, არა ასე უნდა დაიწეროს და არა ასეო; ამ სიტყვას ხმის ამაღლება ამ მარცვალზედ აქვს და არა ამ მარცვალზედაო, ეს მუდამ ხდება გამოცდის დროს, როცა-კი გამომცდელნი სხვა-და-სხვა გუბერნიებიდგან არიან. ეს ხომ თითქმის ყოველთვის ასეა. ამ მამლაყინწობას ის არა სჯობდა, მიეღოთ მხედველობაში ის დაბრკოლებანი, რომელიც ელობება მოსწავლეს რუსულ მართლ-წერის და პროსოდიულ ხმის ამაღლების შესწავლა-შეთვისებაში და მოითხოვონ შესაძლებელი? გარდა იმისა, რომ ასე საქმის წარმოება პედაგოგიური და სამართლიანი იქმნებოდა, რაც გამოიწვევდა მოსწავლეთაგან სურვილს გაუმჯობესებისას, თვით მოსწავლენიც შეიწყნარებდნენ ნებით თუ უნებლიედ შეცდომებს მასწავლებლებისას; ამ შეცდომათაგან თავისუფალნი არ არიან ისინი, თოგორც მართლ-წერის ისე პროსოდიულ ხმის ამაღლების საქმეში. ამიტომ იგი შეცდომები აღარ გადაიქცეოდა დაცინვის იარაღად, რასაც მრავალნაირი პედაგოგიური ზარალი მოსდევს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ზოგი მასწავლებელთაგანი სრულებით აღარ უბრუნებს მოსწავლეთ სავარჯიშო ნაწერსა, ყველასათვის ცხადია, რა მიზეზითაცა...

ყველა ეს ცალკ-ცალკე და ერთად აღებული ერთსა და იმასვე ამტკიცებს, რომ რუსულ მართლ-წერის აქცენტისა და პროსოდიულ ხმის ამაღლების შეთვისება თვით რუსთათვისაც მეტად ძნელია და, რასაკვირველია, უცხო ერთათვის უფრო გაძნელებული იქმნება; რომ ეს სიძნელე ყველასაგან აღიარებული უნდა იქმნეს და შესაფერი შეღავათი შემოღებული.

ქართული ენა, როგორც ნათქვამი მქონდა, 29 მარტის უქაზით 1884 წ. № 1009, თუმცა სავალდებულო აღარ იყო რუსთა და ბერძენთა მოსწავლეთათვის, მაგრამ მტკიცედ არის გამეორებული, რომ იგი სრულის შტატის საგნად ჩათვლილიაო. გამოდის, რომ ორივე უქაზი უწ. სინოდისა (10 აგვისტოსი 1883 წ. № 2446 და 29 მარტისა 1884 წ. № 1009) ქართულ ენას დამოუკიდებელ საგნად აღიარებს. თუმცა ეს ასეა, ქართული ენა მაინც იმავე ბედისა შეიქმნა სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებში, რა ბედისაც სამინისტრო სკოლებშია და კიდევაც უარესისა. სამინისტრო სკოლებში ქართულის ენის შესასწავლი დრო იყო შემცირებული. როცა-კი ასწავლიდნენ და ასწავლიან, ქართულს ქართულად ასწავლიან; სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებში გაკვეთილების რიცხვი თუმცა არ შემოკლებულა და არც შეიძლებოდა ეს უწ. სინოდის დაუკითხავად, მაგრამ ისეთს მდგომარეობაში ჩააგდეს მისი სწავლება, რომ ქართულ ენის გაკვეთილები-კი ჰქვიან და რუსულ ენის სწავლება-კი აქვს აზრად, თუმცა ეგ აზრი შეუსრულებელი რჩება და ტყუილად დრო იკარგება უგზო-უკვლო შრომაზედ.

იმავე 188$^{3}/_{4}$ წ. ასტყდა მიწერ-მოწერა შესახებ ქართულის ენის სახელმძღვანელოებისა. ბ-ნ გოგებაშვილის გამოცემათ ბევრი ომი გადაიხადეს ჵ შემდეგ ხანგრძლივის, მედგარის წერილობითის ბრძოლისა გამარჯვება დაიმკვიდრეს. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოს ეგზარხოსად ყოვლად უსამღვდელოესი პავლე ბრძანდებოდა და სასულიერო სასწავლებლების მასწავლებლებს ერთის კალმის მოსმით ურჩევდა, როგორც მოითხოვდა წინ წამძღვარებული აზრი. მაშინ სემინარიის რექტორად მ. ჩუდეცკი იყო. ეს ეგზარხოსი და რექტორი სრულის თანხმობით მოქმედებდნენ, რომ ქართულის ენის სწავლება სემინარიაში და სასულიერო სასწავლებლებში შეეფერხებინათ. მრავალის მითქმა-მოთქმისა ჵ კერძო განკარგულების შემდეგ დაადგინეს, რომ ქართული ენა პირველ კლასიდგან რუსულად ესწავლებინათ. ამ დადგენილებას ის მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს, რომ ბავშვმა უნდა ქართულად წაიკითხოს და, რაც სათქმელი აქვს, რუსულად სთქვას; აგრეთვე მასწავლებელმა ყოველივე თვისი სათქმელი რუსულად უნდა უთხრას მოსწავლეს. ყოველივე ეს ისე მოეწყო, როგორც არის მოწყობილი მკვდარ ბერძნულ ენის სწავლების საქმე. საწერი ვარჯიშობაც ასევე იქმნა მიმართული. თხოულობდნენ და თხოულობენ თარგმნას ქართულიდგან რუსულად. არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ გული არ ითმენს უთქმელობას: იცით, რას თხოულობენ, რომ ქართულიდგან რუსულად ითარგმნებოდეს? აიღეთ ჟამნი და რუსულად სთარგმნეთო: ვისაც თვით არ უკითხნია ჟამნი ეკკლესიაში, გაგონილი მაინც ექმნება და ვკითხავ მთელ ქართველობის ინტელიგენციას: შესაძლებელია, რომ სასულიერო სასწავლებლის რომელისამე კლასის მოსწავლემ ჟამნი ქართულიდგან რუსულად სთარგმნოს? ეს ჩემგან მოგონილი ამბავი არავის ეგონოს. ერთი ქართულის ენის მასწავლებელი კიდეც დაიყოლიეს ამ შეუძლებელ საქმის საკეთებლად. იგი სემინარიის გამგეობას წერილობით დაეკითხა, შეიძლება თუ არა რუსულად სათარგმნელად იხმარებოდეს დეკ. ღამბაშიძის გამოცემული ჟამნიო? კიდევ მადლობა ღმერთსა, სემინარიის გამგეობამ ეს ჟამნი შეცდომებით სავსე გამოცემად აღიარა და ეს გახდა მიზეზად ჯერ-ჯერობით საქმის შეფერხებისა. ამაზედ იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ეტყობა, თვით განგებას გადუფარებია თვისი მოწყალების კალთა და აუცილებია ბავშვთა ნორჩის გონებისათვის ახალი საწამებელი იარაღი.

ყველა ეს მოთხოვნილებანი, როგორც ზევითაც მოვიხსენიე, უწ. სინოდის უქაზებზედ არ არის შედგენილი. ამ მოთხოვნილებათ საფუძვლად დაედო ადგილობრივ სამოსწავლო უფროსთა შეთანხმება იმ მხრივ, ვითომც ქართული ენის სწავლება უშლის რუსული ენის შეთვისებას. რამდენად სამართლიანია ასეთი შეხედულება, ამაზედ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და თვით რუსულ საპედაგოგო ჟურნალებში ბევრჯელ ყოფილა ლაპარაკი; ამისათვის ამას აღარ შევეხები, მანამ თვით ადგილობრივი სასულიერო გამოცემანი არ ამოიღებენ ამაზედ ხმასა, რომელთაც ქართულ ენის სწავლების შესახებ კრინტი არ დაუძრავთ, თუმცა „სასულიერო მახარებლის“ დანიშნულებაა ემსახუროს სამოსწავლო საქმეს და ამისათვის ითვლება სემინარიის გამოცემად.

ჩემის აზრით, ხსენებულ სასწავლებლებში ქართულ ენის სწავლებაზედ მთავრობის აზრი უნდა ამ გამოცემას აეხსნა და ეცნობებინა ის პედაგოგიური მოსაზრებანი, რომლითაც ჰხელმძღვანელობდა სამოსწავლო მთავრობა და ეჩვენებინა იმ მოსაზრებათა უტყუარი სარგებლობა რუსულ ენის შესწავლის საქმეში მაინც. სამოსწავლო უწყებამ, სასულიერო იქმნება იგი, თუ საერო, მე, ვგონებ, თვისთა გამოცემათა საშუალებით უნდა გაავრცელოს ხალხში მთავრობის საწადელი და სასურველი მისწრაფებანი. რასაკვირველია, თუ რედაქცია „სასულიერო მახარობლისა“ მოისურვებს ამ საკითხზედ მსჯელობას, მაშინ ყველას ეცოდინება და მათ რიცხვში მეც, რა პედაგოგიური მოსაზრებანი ასაზრდოვებენ და ასულდგმულებენ მოთხოვნილებას ქართულის ენის ზემოხსენებულ სახით სწავლებისას, შესაძლებელია, რასაც ვერ მისწვდომია მოყმეთა გონება თავის თავად, სამოსწავლო უწყების გამოცემამ ნათელი მოჰფინოს!

ნადიკვრელი

(შემდეგი იქნება)

გზაზე

(ლექსი პროზათ)

კვლავ მიქრის ეტლი და მიმაქროლებს. სამშობლოსაკენ?—ვაი რომ არა! სულ სხვა ბუნება მახვევია გარს: ნაცვლად მშვენიერ მინდორ-ველების, დიდებულ მთების და ხეობების ვხედავ უსულო მხოლოდ უდაბნოს, ხრიოკ კლდე-ღრეებს, მზისგან გადამწვარს ჭალებს და გორებს.

თვალნი, ჩვეულნი მოულოდნელად სულ უცხო-უცხო სანახავთ ხილვას, ვეღარაფერზედ შეჩერებულან და, დაღალულნი თავმომბეზრებლათ ერთფეროვნობით, უაზროდ სივრცეს დაშტერებიან. ოჰ, დამეძინოს ნეტავი მაინც და მოისვენოს მშფოთავმა სულმა. თუ ვერავითარს სიამოვნებას ვერ ვიგრძნობ, ვეღარ დასტკბება გული, დაე, არ ყოფნამ ყოფნა შესცვალოს, მოვკვდე დროებით!

დიახ, დროებით, რადგან სიკვდილი, სამარადისო, მხოლოდ იქ მინდა, სადაც ვშობილვარ, სად მამა-პაპა ჩემი მარხია, სად დედის ტკბილი „ნანა“ მსმენია, სად სიყვარული უგრძვნია გულსა და სადაც პირველ აღფრთოვანებულვარ: თან მიმღერია, თან მიტირია.

ოჰ, ის სიკვდილი როდი იქმნება, თუ მშობელ ცის ქვეშ დავხუჭავ თვალებს და აღმზრდელს მიწას მივემატები! მკვდარი ახლა ვარ მთელის არსებით, მაშინ-კი მხოლოდ ხორცი მოკვდება და თავისუფლად დაიწყებს ფრენას უკვდავი სული!

რა ბედნიერი ვიქმნები მაშინ! ვეღარავინ და ვეღარაფერი ჩემს მშობელს მხარეს ვერ მომაშორებს.

მეც მის წყაროთა შევუერთდები, იმათთან ერთად ტკბილის ჩხრიალით, მოვრწყავ-რა გზა-გზა ათასს მინდორ-ველს, შორს, შორს ზღვისაკენ გავექანები და გავერევი მისს ცელქ ზვირთებში, რომ მზის სხივებმა ზე ამიტაცონ და, ცაში ნამად კვლავ გარდაქმნილი, ძირსვე დავეშვა და ასე მარად გარს ვევლებოდე ძვირფასს ქვეყანას; ან მისს წალკოტთა უმშვენიერეს და სუნნელებით სავსე ყვავილად გარდავიქცევი, რომ აღგზნებულმა ძლიერის გრძნობით ჭაბუკმა მნახოს და თავისს სატრფოს მიძღვნას სახსოვრად; და ან მისს ერთ-ერთ მრავალ ნანგრევთა, ოხრად შთენილთა, სულად ვიქცევი, რომ ვაგრძნობინო ყოველ მისს მნახველს მისი წარსული, თან დიდებული, თან ტანჯვით სავსე.

რა ბედნიერი ვიქმნები მაშინ!..

დუტუ მეგრელი.

სომხური გაზეთი „მშაკი“ ჵ ჟურნალი „მურჭი“ ქართველთა ინტელიგენციის შესახებ

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენმა თანამემამულემ ბ-ნმა ფილიპე გოგიჩაიშვილმა გერმანულად გამოაქვეყნა სადოქტორო თხზულება, სახელად „შინათ-მრეწველობა საქართველოში.“ არ ვიცი, რა მიზეზით, ჩვენებურ ჟურნალ-გაზეთობაში ამ შესანიშნავის თხზულების ამბავი ვრცლად არ იყო მოხსენებული. მაგრამ სომხურმა ჟურნალმა „მურჭმა“-კი ამა წლის მარტის ნომერში დაწვრილებით გაარჩია იგი და დაასკვნა ბ-ნ გოგიჩაიშვილის თხზულება სერიოზული და სასარგებლო ნაწარმოებია, მხოლოდ, აფსუს, რომ სამეცნიერო თხზულებაში ავტორს საერო ვიწრო ანგარიშები შეურევიაო. ამიტომ „მურჭის“ რედაქცია თავის თანამშრომლის ბ-ნ იშხანიანის პირით დასძენს, ბ-ნი გოგიჩაიშვილი ეკუთვნის ქართველთა ინტელიგენციის იმ წრეს, რომელიც კავკასიის სომხებს ერთხელვე ამოჩემებულის (იგულისხმე ავის) აზრით უყურებსო.

ისიც უნდა მოგეხსენებოდესთ, რომ ეხლა ხან „ცნობის ფურცელი“ ქართველთა და სომეხთა ერთობაზე მოჰყვა ლაპარაკს. ეს ლაპარაკი „მშაკს“ ჭკუაში დაუჯდა და ამა წლის № 115 პირველ გვერდზე, სადაც იყო მოყვანილი სრული თარგმანი „ცნობის ფურცლის“ წერილისა, განაცხადა, ჩვენი გაზეთიც, რაც დაბადებულა, ამასვე ჰქადაგებდა და ქართველთა ინტელიგენციის კარგი ფერის („მშაკის“ ტერმინია) ნაწილიც ამასვე იყო მოწადინებულიო.

ჩვენებურის ინტელიგენციის ფერადებად დაყოფა თუ შევიწყნარეთ, ბ-ნი ფ. გოგიჩაიშვილი ყოფილა იმ წრისა, რომელიც ცუდის ფერისა უნდა იყოს, რაკი სამეცნიერო თხზულებაში ვიწრო საერო ანგარიშები შეურევია. ეს სიცუდე-კი ალბად იმიტომ უნდა დაერქვას, რომ იგი ქართველთა და სომეხთა ერთობას არ უმღერის ზოგიერთსავით და საქართველოს სომხების მდგომარეობას, ყოველთვის და ყოველგან, ნამდვილის სახელით აღნიშნავს.

ყოფიერებას უნდა მოველოდეთ. ამ იმედით, ამ საწადელის სურვილით უნდა შევხედოთ მომავალსა და დავულოცოთ გზა, რომელიც ხალხის და ქვეყნის ბედნიერების მოსაპოვებლად უანგარო შრომას ითხოვს.

ყოველ ქვეყანაში და ყოველ საუკუნოებში ერთი რამ იყო, როდესაც მთელი ხალხი, საზოგადოება და მისი მწერლობა აღფრთოვანებულის წადილით, მოქმედებით, აზრებით მოქმედებას იწყებდა. ეს რამე იყო აზრი, რომ ხალხის და ქვეყნის საერთო ბედნიერება დაემყარებინა. მწერლობაში და ცხოვრებაში სხვა-და-სხვა სახით იჩენდა თავსა. მწერლობას დიდი ძალა ემატებოდა ამ მოძრაობის დროს და, აჰა, ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს ამისთანა ძალა შემატა ჩვენს მწერლობასაც. მეცხრამეტე საუკუნის ევროპის დიდებულმა აზრებმა, რასაკვირველია, დიდი გავლენა იქონია ამისთანა გამოღვიძების დროს რუსეთში და იქიდამ ჩვენშიაც. საზოგადოდ ხალხის კეთილდღეობა გახდა საგანი ჩვენის მწერლობისა. თუ მოისუსტა ჩვენმა მწერლობამ და მასთან „ივერიამ“, ამისი მიზეზი ზემოდ მოვიხსენეთ. მაგრამ, როგორც ევროპაში, ისე რუსეთში მწერლობა მაინც მუშაობდა დიდებულის აზრისათვის, რომლისათვისაც ასე ძლიერად წინა დროებს არ უმუშავნიათ. დიდებული აზრი მშრომელ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ იღვწოდა და ამისთვისვე იღვწიან საზოგადოებანი, სახელმწიფონი, მწერლობა და თვით ხალხი. ამ მოძრაობას ვერც ერთი განათლებული საზოგადოება და ადამიანი გზას ვერ აუქცევს, თუ ძალად თვალის დაბრმავება არ უნდა.

რასაკვირველია, რუსული და მასთან ქართული მწერლობაც ვერ ასცდებოდა ევროპის აზრების გავლენას. ქართველი ახალი თაობა, თუ მას განათლებულობის, ინტელიგენტობის ნასახი აბადია და არ ჩაუშლია კავშირი დედა-ქვეყნის ბედ-უბედობასთან, რასაკვირველია, დაუფიქრდებოდა რომელსამე საგანს. და აი მადლობა ღმერთს, დაატყო ჩვენს მწერლობას გამოცოცხლება.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელია ყოველ გამოცოცხლების დროს, შემოერია მწერლობას სიფიცხე, უხერხული პოლემიკა, რომელსაც ხელს უწყობს ჩვენი მწერლობის სისუსტე და დიდი ნაკლებობა ცოდნა-მეცნიერებისა. პოლემიკურ აშფოთების ნაცვლად საჭირო იყო გამორკვევა--ევროპიულ ჵ ჩვენებურ ცხოვრების მრავალ საგნის პარალელად დაყენება შეიძლებოდა თუ არა და რომელ ხანას უდრიდა ჩვენი ხალხის დღევანდელი მდგომარეობა ევროპისას? ეს ასახსნელი და გამოსარკვევი იყო. ამაში აირია ჩვენი მწერლების ენა და ცოდნა. მწერლობა დღეს ამ მდგომარეობაშია. მალე გამოერკვევა თუ გვიან, ეს მომავალის საქმეა. რამდენი უთვალავი საკითხავი აზრია ამ საგნის გამოსარკვევლად, რამოდენი ცოდნა და რამოდენი მასალის შეგროვებაა საჭირო, ამისი სიდიდე ერთის კაცის ენას ამარცხებს, მაგრამ მწერლობა ხომ ერთი კაცი არ არის. ერთგულის მოღვაწეების შრომით, ცოდნით, მომზადებით, ჭკუით და ნიჭით მაინც მწერლობა თავისას გაჰკვალავს და გამოარკვევს როდისმე.

ამ გზაზე გამოვიდა ახალი თაობა ჩვენის მწერლობისა. თუ შეცდება რამე შემოჰყვებათ მწერლობის წინაშე, იმედია, პატიოსანი აზრის მიმდევარნი თუ არიან, აზრის პატიოსნება შეასწორებინებს შეცდომასაც და შეცოდებასაც.

რასაკვირველია, სახალხო ბედნიერების მოსაპოვებელი გზა სხვა-და-სხვა მიმართულებას თავისებურად ესმის. აქ შეიძლება ცილობა და შეტაკება, მაგრამ უმთავრესი ის არის, ვიცოდეთ, რომ ამორჩეული გზის მიმდევარი იმ მიმართულების ნამდვილი, ერთგული და სულით და გულით იმ რწმენისაა და არა ქარაფშუტა პოლაყბე. თუ ეს ასეა მოწინააღმდეგე მიმართულების მოღვაწეებს ერთი საგანი-ღა დარჩენიათ: ახსნან თავისი აზრის, იდეის და იდეალის მნიშვნელობა. თუ ამგვარს ახსნას პოლემიკა მოსდევს; ეს მოვალეობაა, აუცილებელი საჭიროება, რომ გამოარკვიოს აზრთა განსხვავება და არა ლაყბობა მოპირდაპირის დასამცირებელი. აზრიან პოლემიკისა ეშინიან უმეცრებას, ბნელეთის მოტრფიალეს, ანგარებას და საზოგადოდ ზნეობითს და გონებრივს სილატაკეს ან ბუნებით მახინჯ სიავეს.

მაგრამ ამაზე იცით რა მაგონდება? ტრადიცია ქართულის მწერლობისა.

მას შემდეგ, რაც ქართული ასოები ხმარებაში შემოსულა, იმისი შრომა უმეცრებისა და ბნელეთის მოსამსახურედ არ გამხდარა. ჩვენს დროში მას არ შეუძლია ამ გზას დაადგეს, თუ განზრახ ხალხის მტერი ხელთ არ ჩაიგდებს თვის სასარგებლო იარაღად. რომელს ხალხშიაც თვით ხალხისაგანვე შექმნილ და ნალვაწევ ასპარეზზედ მომუშავენი გამოსულან, მათი შრომა მიმართული ყოფილა ქვეყნის წინსვლისაკენ. ამ იმედით უნდა დაუხვდეს საზოგადოდ ჩვენი ბეჭდვითი სიტყვა ყოველ ახალ აზრს, ახალთაობას, რომელიც თავს იჩენს მწერლობაში და რომლის საგანიც ჭეშმარიტი სამსახურია ხალხის სულიერის და ნივთიერის კეთილ დღეობისათვის.

იყო რამდენიმე საცადი, რომ ქართულ მწერლობის გამოსაფხიზებლად რუსულ მწერლობაში გაისმოდა ხან-და-ხან ხმა რომლისამე გულშემატკივრისა, მაგრამ მათი შრომა, რაც უნდა ნიჭიერი იყოს, რუსულად იწერება თუ უცხო ევროპიულ ენებზე, ბევრს ვერაფერს შემატებს ჩვენს მწერლობას, თუ თითონ ქართული მწერლობა თავის ნიადაგზე სუსტი იქნება. ჩვენი მწერლობა უნდა იყოს ღონიერი, ძლიერი თვით ხალხშივე. რუსულ და ევროპიულ პუბლიცისტების და მეცნიერების შრომას მათ ენებზე ის მნიშვნელობა ექნებათ, რომ ევროპის საზოგადოებას გააცნობს ჩვენს ქვეყანასა. ესეც საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ თვით ჩვენის ხალხის საკუთარის აზრის განვითარებისათვის თავის საკუთარი მწერლობის შრომაა საჭირო.

პუბლიცისტიკას, პოლემიკას და კრიტიკას დიდი მნიშვნელობა შინაურობაში აქვს და არა ხალხის გარეშე უცხო ენებზე. მხოლოდ სათქმელი ის არის, რომ ჩვენებურ პოლემიკას მოშორდეს ის გარეგანი ფორმა, რომელიც დღევანდლამდე ლანძღვის კატეგორიას ეკუთვნის.

ამ სტრიქონების დამწერს, როგორც ერთ ძველს გარედან თანამშრომელს „დროებისას“ და „ივერიისას“, მინდოდა გამომეთქვა რამდენიმე აზრი „ივერიის“ ოც-და-ხუთის წლის შესრულების გამო. მეტი არ იქნება მოკლედ ავუხსნა ჩემი აზრი.

წარსული მწერლობის შრომა არ იყო ბრმა თაყვანის-მცემელი წარსულისა და მოსურნე ძველის დრო-გადასულ წესების დაბრუნებისა.

რამდენადაც დროთა ვითარება ხელს უწყობდა, ემსახურებოდა შეგნებულად უპირველეს საჭიროებათა ახსნასა.

ეხმარებოდა იმისთანა დაწესებულებათ, რაც დროთა ვითარების მიხედვით თვით საზოგადოების და ხალხის ღონით შეიძლებოდა დაარსებულიყო.

მწერლობა სუსტი იყო შინაგანის და გარეგანის მიზეზებით. ამ მიზეზებით ხელობად არ შექმნილა დღევანდლამდე მწერლის მუშაობა. ახალი და ახალი ძალის შემატება არ ემჩნეოდა ხანგრძლივად. უკანასკნელ წლებში იჩინა თავი ახალგაზდობამ.

მას წინ უძევს შევსება და შეკეთება, რაც წინად გაკეთებულა და ახალის მიმატება, ახალ დაწესებულებათა შექმნა ისევ ხალხის ღონით და ძალით. ამისთანა მუშაობას იმედით დაუხვდეთ და უკეთესის მომასწავებელ ნიშნად მივიღოთ.

ეს არის ჩემი აღსარება წარსულისა, იმედი და ნატვრა მომავლისა.

ვინატრი, რომ „ივერიამ“ სხვა ჟურნალ-გაზეთებთან ერთად უკეთესად, ხანგრძლივად მრავალ-ჟამიერ იცოცხლოს ქვეყნის სამსახურში.

პეტრე უმიკაშვილი.

ვისთვის რა დასამალი, ან რა ხელ-დასაფარებელია, რომ ჩვენებური სომეხი ჩვენის ქვეყნის აღმოსავლეთად ქართლ-კახეთში, რა ფერისაც გნებავს, ბურჟუა ბრძანდება, და ეკონომიურ მოცილეობასთან ერთად აზგასერულის ტენდენციებით გაბრძნობილიცა? თუ ასეთ სომეხთან ურთიერთობა შევიწყნარეთ და მხოლოდ შემდეგ მოვყევით მასთან ერთობაზე ლაპარაკს, რასაკვირველია, სომხური გაზეთები, „მშაკისა“ არ იყოს, „კარგის ფერისად“ ჩაგვთვლიან. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ქართველთა შეგნებულ ნაწილს კარგად ესმის მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში ზემოხსენებულის სომხობისა და შიში, რომელსაც მისგან მოელის.

მხოლოდ ვერ გაგვიგია, რადა ჰგონია ჟურნალს „მურჩს“ თითქო ის ერთი წრე, „მშაკის“ სიტყვის ანტითეზად უთუოდ ცუდის ფერის ქართველთა ინტელიგენციისა ამორჩეულის აზრით უყურებდეს მრთლად კავკასიის სომხებსა? კავკასიაში, ჩვენს ქვეყანას გარდა, სომხები სცხოვრებენ აგრეთვე ესრედ წოდებულ სათათრო გუბერნიებში: ერევანსა, განჯასა და ბაქოს, რომელთა მობატონე მკვიდრთ თათრობა შეადგენს. იმ ქართველთა ინტელიგენციამ სრულიად არ იცის, თუ რა თვალით უყურებს იქაური თათრობა მასთან ერთად მცხოვრებ სომხებსა და, კარგი-კი იქნება, თვითონ თათრის ინტელიგენცია გამოსთქვამდეს, თუნდა გაზეთის „კასპის“ საშუალებით ;თავის აზრსა ამ საგნის შესახებ.

კლდია.

თეატრი და ხელოვნება

ჭიათურა. ტფილისის მოგზაურ მსახიობთა დასი აქაც გვეწვია და ორი წარმოდგენა გამართა: ერთი კვირას, 9 ივნისს, და მეორე ორშაბათს. პირველად წარმოადგინეს ვ. გუნიას მიერ გადმოკეთებული კომედია, „ძალა აღმართსა ჰხნავს“, რომელიც მართალია პირდაპირ დღევანდელ ჩვენს ცხოვრებას არ ეხება, რადგანაც, ცოტა არ იყოს, ის ცხოვრების ხანა, რომელსაც ეს პიესა გვიხატავს, ჩვენმა საზოგადოებამ უკვე განვლო, მაგრამ პიესა საზოგადო ინტერესს მაინც არ არის მოკლებული.

მონაწილეობას იღებდნენ ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გივიშვილი, ბ-ნნი ვალ. გუნია, სვიმონიძე, ივანიძე, ურუშაძე, იმედაშვილი და სხვ... პიესის შინაარსის გადმოცემა მეტად მიმაჩნია, რადგანაც ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში რამდენჯერმე იყო მოთავსებული ამ პიესის შინაარსი და, მაშასადამე, მკითხველ საზოგადოებასაც მოეხსენება, მხოლოდ რაც შეეხება თვით მოთამაშეთ, უნდა აღვნიშნო, ჩვენდა სასიხარულოდ, რომ ასე მწყობრად და უნაკლულოდ შესრულებული პიესა ჩვენ თვით ტფილისის სცენაზედაც იშვიათად გვინახავს. დამსწრე საზოგადოება დიდ აღტაცებაში მოიყვანა და ბევრს დაავიწყა წარსული კვირის ბ.ბ. ბოჭორიშვილის და აბულაძის-მიერ დატოვებული ცუდი შთაბეჭდილება თეატრზედ... როლები ისე შეფერებულად იყო განაწილებული, რომ სულ ყველანი, არა თუ თავის ალაგას გრძნობდნენ თავისს თავს, არამედ უნაკლულოდაც ასრულებდნენ თავიანთ როლებს, რასაც ხელს უწყობდა როლების კარგად ცოდნაცა.

ორშაბათს წარმოადგინეს „პირველი ბუზი“ კომ. 3 მოქ. ვ. გუნიასი და მისივე ვოდევილი „ცოლქმრობის ბედნიერება“. ეს წარმოდგენა შეისყიდა ათ თუმნად ქ-ნმა ეკ. ნიკოლაძემ, რომელიც განაგებს ქუთაისის სახალხო თეატრს და შავი-ქვის მრეწველობის საბჭოსთან პირობით არის შეკრული, მართოს ხოლმე ჭიათურაში სახალხო იაფფასიანი წარმოდგენები, და ეს წარმოდგენაც ყველასათვის ხელ-მისაწვდომ ფასებით იყო გამართული: მაგ. პირველი რიგი 1 მან., მეორე—50 კ. ხოლო დანარჩენები-კი ორი შაური და შაური. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა და დამსწრე საზოგადოებაც დიდად ნასიამოვნები დაიშალა. სწორედ დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ვ. გუნია, რომელმაც შეადგინა ეს დასი და ასეთ დაბა-სოფლებში მართავს წარმოდგენებს...

დასასრულ, არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ ჩვენის თეატრის მამა-პატრონებს ასეთი უყურადღებობა, რომელიც დღეს სუფევს ჩვენს თეატრის დარბაზში. თავი და თავი ის არის, რომ ბილეთები იყიდება იმდენი, რამდენიც ალაგი არ არის, რის გამო ხშირად ისეთი არეულობა ხდება, რომ პიესის მოსმენა-კი არა, ძაღლი პატრონს ვეღარა სცნობს. ამ არეულობას ხელს უწყობს აქაური ბუფეტი, რომელიც გამართულია ზედ პირველ ლოჟის ფანჯრებთან და, რომელსაც მუდამ ახვევია ხალხი, როგორც, ანტრაქტებისა, ისე წარმოდგენის დროს. დარბაზის არეულობას ემატება ფანჯრიდგან ერთი ჟრიამული და აურ-ზაური... მოდი შენ და გაიგე ეხლა ასეთ ყოფაში სცენაზედ რას თამაშობენ!!..

უკეთეს ყოფაში არც ჩვენი მრავალ ტანჯული სცენის ფარდა არის... სწორედ გულს აუტირებს კაცს, როდესაც ამ ფარდის ვაი-ვაგლახს უყურებ მის ახდა-ჩამოშვებაზედ... აიხადა ფარდა, რის ჭაპან-წყვეტით... მაგრამ ეხლა ჩამოშვებას არ იკითხავთ?. ვსთქვათ, როგორც იქმნა ჩამოუშვეს კიდეც ფარდა,—ეხლა საზოგადოება ტაშს კვრით, ვაშას ძახილით იწვევს არტისტებს და დახეთ უბედურებას: ფარდას გული წასვლია და ფეხს ვეღარ იცვლის. თოკს ორი კაცი ძლივს ექაჩება, აგერ მესამეც მიეშველა და თოკიც გაწყდა... საზოგადოება მაინც ვაშას ძახილით იწვევს არტისტებს... მეტი აღარა დარჩენიათ-რა, უნდა ასწიონ ხელით ფარდა და ქვეშიდან, ავან-სცენაზედ გამოაძვრინონ არტისტები... მერე იცით, ბატონებო, რა ფულად დაუჯდათ ეს თეატრის მოწყობილება და მისი ტანჯული ფარდა-დეკორაციები?.. მაგრამ ეს უფრო ჩვენმა თეატრის პატრონ-პატრონებმა უნდა იცოდნენ და თუ მაინცა და მაინც ამ მეტად საჭირო ბიროტო დაბრკოლებას არ მიაქცევენ ყურადღებას, იძულებული ვიქმნებით ამ საგანს უფრო დაწვრილებით შევეხოთ...

სიმართლე.

თელავი. ეს მეორედ გამართეს სახალხო წარმოდგენა,—თუ შეიძლება ორ-აბაზიან და აბაზიან გარდახახად წარმოდგენას სახალხო დაუძახოთ. ითამაშეს „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“—კომ. თარ. გუნიასი და „ჭკუისა მჭირს“ ცაგარლისა. ჩვენ ნება არა გვაქვს მოთამაშეებს შენიშვნა მივცეთ თამაშობისათვის,—თუ დღეს ვერ ითამაშეს კარგად, შესაძლებელია ხვალ დახელოვნდნენ და ნიჭი გამოიჩინონ,—მაგრამ თუ საწყინოთ არ მიიღებენ ჩვენი ახალი სცენის მოყვარენი და თუ უგისრიათ ხალხის განვითარება, უნდა ახსოვდეთ, რომ ჯერ თვითონ უნდა მოემზადონ და მერე ხალხს გაუწიონ წინამძღოლობა, თორემ შესაძლებელია სარგებლობის მოტანის მაგიერ ზარალი მოუტანონ მაყურებლებსა.

ამას გარდა, წარმოდგენები უნდა იმართებოდეს დღისით და არა საღამოს $9^1/_2$ საათზე იწყებოდეს; პიესა ხალხისათვის გასაგებ ხალხური ენით უნდა იყოს დაწერილი და აზრიანი; წარმოდგენის შემდეგ უნდა იმართებოდეს სახალხო საკითხავები. ყველაზედ უმთავრესი-კი ის არის, რომ წესიერება დაცული იყოს და არ იყოს ისე, როგორც წარსულ წარმოდგენებზედ: ჭყივილი, ხმა მაღლა სიმღერა და სვეცი ხელადა კასური ღვინით სავსე ერთმანეთში იყო არეული.

ერთი ერთთაგანი.

იყალთო (თელავის მაზრა). 9 თიბათვეს გამართეს აქ ქართული წარმოდგენა. ითამაშეს: «მომაკვდავი ყმაწვილი», სცენ. 1 მოქ. „დედა და შვილი“ ილია ჭავჭავაძისა და „საყვარელი სტოლ ქვეშ“, თარგმ. აჯიამაშვილისა. მონაწილეობას იღებდნენ კნიაჟ. სარა მაყაშვილისა, მათიკო რუსიევისა და კატო; მიტო მაყაშვილი, ვახტანგ მაყაშვილი და ნიკო ნიკოლაიშვილი. პიესებმა ძალიან მხიარულად ჩაიარა და მოთამაშეებმაც კარგად ითამაშეს თავიანთი როლები. განსაკუთრებით ბევრი გვაცინა «საყვარელმა სტოლ ქვეშ“. საუცხოვოდ თამაშობდა ამ პიესაში გლეხის ქალი კატო, რომელიც ასრულებდა ბადასარას (კაცის) როლს.

როგორც გვიგე, აქ აპირებენ უფასო წარმოდგენას გლეხებისათვის. ღონდაც, რომ ჩინებული აზრია

სტუმარი.

მადლობის გამოცხადება

ბ. რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ექიმ დ. ა. ნაზაროვს, რომელმაც ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა შორის შეჰკრიბა 46 მანეთი გაბრიელ ეპისკოპოსის სახელზე დაარსებულ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ, რომელიც ჩვენ უკვე მივიღეთ.

გამგე ბიბლიოთეკისა ელენა ჯინოვისა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

14 ივნისი

ლონდონი. ბიულეტენი 10 საათისა და 15 მინუტისა: „მეფემ საკმაოდ კარგად გაატარა ღამე. მადა ემატება. ჯანმრთელობის მდგომარეობა ნაკლებ საშიშია.

ლონდონი. მეფის ჯანმრთელობის მდგომარეობა ერთობ გაუმჯობესდა; შესაძლებელია მეფე მორჩეს, თუ სამშაბათამდე სენი არ გართულდა.

ლონდონი. „Times“-ს ატყობინებენ ტოკიოდგან, რომ კორეის მთავრობის წინაშე იაპონიის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ ძირიანად შეიცვალოს ფულის ღირებულება და შემოღებულ იქმნას ფინანსიური ცვლილება. ხარჯის ძალდატანებულ გადახდევინებისა გამო კორეას ორს დაბაში არეულობა მოხდა; მოჰკლეს 3 იაპონელი მცხოვრები და ნიაპონელი მეთევზე.

კარაკასი. მეამბოხეებმა დაიჭირეს კორო. რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი და მთავრობის მთელი მხედრობა, ხუთის ზარბაზნით, მეამბოხეებმა შეიპყრეს. გენერალ მატოსი აღმოსავლეთით მოდის სატახტო ქალაქისაკენ, რომელსაც ორს კვირაში ეგების მიაღწიოს. კარაკასის გარს არტყიან რევოლიუციონერთა ბრბონი.

ლონდონი. არა ოფიციალურ წყაროდგან იუწყებიან, რომ უკანასკნელს ბიულეტენში მოხსენებული ტკივილები, რომელიც ხელახლად აუვარდა მეფეს, ჯერ ცოტაოდნად აშფოთებდა, მაგრამ ისევ სიკეთე დაეტყო.

ვლადივოსტოკი. იმპერატორის ალექსანდრე მე-III ძეგლის ასაგებად ფინანსთა სამინისტრომ გადასდო 250,000 მანეთი.—სადამოჟნო დეპარტამენტის დირეკტორი ბალუსტინი სადამოჟნო საქმის ადგილობრივის ვითარების გამოსაკვლევად.—ჩრდილოეთ-ჩინეთის ნავთსადგურებში, ხოლერის გამო, ჩინელის მუშების იქიდგან ვლადივოსტოკში შემოსვლა აღკრძალულია.—ღარიბთა სამზრუნველომ დააარსა პირველი სახლი მუქთის სადგომებისა.

კავკავი. თერგის შუა და ქვემო ნაწილის მიდამოებში სრული მოუსავლობაა; პური გასთიბეს საქონლის გამოსაკვებად; თივა არ არის.

ვარშავა. „Варшавскій Дневникъ“-ის სიტყვით ვარშავისა და კალიშის შეერთებას აკლია სულ 22 ვერსი რკინის გზისა.—კალიშის გუბერნიაში ლეჩიცის სოსტატო სემინარიასთან იხსნება უფასო საპედაგოგო კურსები დასაწყის სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლად.

ყაზანი. გადამწვართ, შესაწევარ კომიტეტის კრებაზედ გუბერნატორმა გამოაცხადა უმაღლესი წყალობა 50,000 მანეთის შემოწირვის შესახებ. გაჭირვებაში ჩავარდნილებს აღმოუჩინეს საზრდო და დროებითი ბინა. გადამწვარნი, რომელნიც მინდვრად გასულიყვნენ, სახლებში დააბინავეს. გადაწყვეტილია შემწეობა აღმოუჩინონ საზრდოთი, ტანისამოსით, სახელოსნო იარაღით და, თუ საჭირო იქნება, ფულით. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა: გაიცეს სესხები საქველმოქმედო თანხიდგან გადამწვარ შენობების აღსადგენად; გადიდვა 10,000 მანეთი გადამწვართა შესაწევრად და საჩუქრად ცეცხლის მქრობელ რაზმისა და სალდათებისა, რომელნიც ცეცხლის ქრობაში მუშაობდნენ; დაევალა კომისიას შეიმუშაოს ცეცხლის საქრობის წყლის მილის გამოყვანის საქმე კაბანსა და კაზანკაზედ; შუამავლობა აღიძრას მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ შეღავათით მიეცეს ცეცხლისაგან დაზარალებულებს ხე-ტყე; გამგეობას მიენდო გაჰყიდოს თავის ტყიდგან შეშა იმ ფასად, რაც დაუჯდომია. ხმოსნებმა თავიანთში შეჰკრიბეს დაზარალებულთათვის 3,195 მანეთი.

პეტერგოფი. საფრანგეთის საზღვაო კადეტები 108 ყმაწვილი აფიცრებითა და კომანდირით გაემართნენ პეტერგოფის დიდს სასახლეში, სადაც საუზმეზედ იყვნენ მიწვეულნი.

პეტერბურგი. დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდგან ცარსკოე-სელოში. მოსკოვიდგან დაბრუნდა მემკვიდრე პრინცი ანჰალტ-დასაუსისა ფრიდრიხ-ალექსანდრე.—„კანონდებულებათა კრებულში“ დაბეჭდილია წესდება პეტერბურგის პოლიტეხნიკურის ინსტიტუტისა; წესი კერძო ბანკების მოქმედების გამტკიცებისა და წესი, რომლითაც უნდა ასრულდეს უმაღლესი ბრძანება, ქონებრივის პასუხის გების შესახებ იმ სასოფლო საზოგადოებებისა და სოფლებისა, რომელთა გლეხ-კაცნი იღებდნენ მონაწილეობას არეულობაში პოლტავის და ხარკოვის გუბერნიებში.

შესწორება: გუშინდელს დეპეშაში პეტერბურგიდგან გამოშვებულია სიტყვები: „4) მზრუნველობა წვრილ კრედიტის დაწესებულებათათვის მინდობილი აქვს საერობო დაწესებულებას, განსაკუთრებულ წოდებრივ დაწესებულებათა გარდა... და სხვ.

15 ივნისი

ლონდონი. ბიულეტენი ნაშუადღევის 2 საათზედ: „მეფემ დილა კარგად გაატარა. დღეს ყველაფერში უკეთობა ეტყობა; ტემპერატურა ნორმალური აქვს“.

ლონდონი. მეფის მდგომარეობას თანდათან უკეთობა ემჩნევა, შეუძლია კითხვა და ბაასი. დედოფალი, და უელსის პრინცი პრინცესითურთ განუშორებლად მასთან იმყოფებიან. ექიმები გადაჭრით ურჩევენ, რომ ჯერჯერობით ყოველგვარ სერიოზულ საქმეს თავი დაანებოს. მეფეს არავინ უნდა მისცეს ისეთი კითხვები, რომელზედაც აზრის მოკრეფით პასუხის გაცემა დასჭირდება. თუ მომავალშიაც ასეთ სანუგეშო მდგომარეობაში იქნება, გვირგვინის კურთხევა შემოდგომის დამდეგშივე შეიძლება.

ლონდონი. საღამოს 7 საათ. ბიულეტენი: „მეფე უკანასკნელ ბიულეტენში აღნიშნულ მდგომარეობაშივე იმყოფება; არავითარი საშიში ცვლილება არ ეტყობა.

ლონდონი. საღამოს 11 საათზედ მეფის მდგომარეობა სრულებით კმაყოფილია. დღე ჩინებულად გაატარა. მდგომარეობა თვალ-და-თვალ უმჯობესდება.

პარიჟი. სენატმა 149 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 118-სა გადასწყვიტა მსჯელობა იქონიოს სამხედრო კანონ-პროექტის შესახებ და არ უცადოს, არც კომისიის წარმოდგენილებას და არც სამხედრო საბჭოს დასკვნას.—პალატამ 496 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 74-სა ნდობა გამოუცხადა მთავრობას მაში, რომ იგი კვალ და კვალ მიჰყვება ემბერის საქმეში დამნაშავეთ; ამ საქმეს მხოლოდ სამოსამართლო ხასიათი უნდა ექნეს და არა პოლიტიკური.

ლოძი. კალიშის რკინის გზის ლიანდაგი სრულებით დამთავრდა. მუშა მატარებლები თავისუფლად მიდი-მოდიან კალიშიდგან ვარშავამდე.

გროდნო. დიდ-ძალი ხალხის თანადასწრებით ქალაქმა იდღესასწაულა უნიატების მართლ-მადიდებელ ეკლესიასთან შეერთება.

პეტერბურგი. ხელმწიფემ დაამტკიცა მოხსენება უწმინდესის სინოდის, რომ დათხოვნილ იქმნას პენზენის უსამღვდელოესი პავლე; ხოლო პენზენის ეპისკოპოსად დაინიშნოს უსამღვდელოესი პოლოცკისა ტიხონი; პოლოცკის ეპისკოპოსად-კი დაინიშნოს უსამღვდელოესი კოსტრომისა სერაფიმი.—საკუთარის მისის უდიდებულესობის იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა კანცელარიის საქმეების გამგე ეგერმეისტერი ვოევოდსკი დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტის სტატს-სეკრეტრად.—კუნძულ კიუსიუზედ მყოფი ქალაქი საგო, იაპონიაში, თიბათვის 12-დგან ხოლერის მხრით საშიშრადაა ცნობილი.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ივნისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	$46,02^1/_2$
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$96^3/_4$ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$98^3/_4$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$356^3/_4$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$287^1/_4$
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$85^5/_8$ გაყ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	$89^1/_4$ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,,	526 წვ. გაყ
,, კასპიის ამხანაგობისა.	4550 „
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	120 „
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	170 წვ. გაყ

ყოველ-დღური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
ამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ.
სამგზავრო „ „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი
თბილი გოგირდის აბანო
„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“
თავად სუმბათაშვილებისა, რომელში ცალკე ნომრებიც არის და საერთ საბანაოც (კაცებისათვის). როგორ ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზ ბი სულ მარმარილოსია, იატაკი დაგე ბულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37_{50} ც. ფას მცირეა. კონკაც იქვე დგება.
იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).
ტელეფონი № 555 (წლ.—6.)

GRAND PRIX
PARIS 1900.
Т-во Высшей парфюмеріи
А. Ралле и К-о
Духи „Царскій Верескъ“

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:
ყოველის მხრიდან
ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.
და
მოთხრობანი
დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერაკითხვის საზოგადოების წიგნის. მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

საუმწვილო ამბები ეკ. გაბაშვილმა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსეს I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
საღიტერატურო ქართული. სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ. „
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა.	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოლისა.	„ 10
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	,, 15
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	,, 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	,, 30
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	,, 5
აბო ტფილელი, ე. გ.	,, 30
Або Тифлисскій, Е. К.	,, 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	,, 60
გიორგი და მიხეილი	,, 10
რ. აბაშიძისა	,, 60
დ. გაბრუაშვილისა	,, 25
მელის წიგნი, გ. თაყაიშვილისა	,, 40
მუშათა კითხვა	15 ,,
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყორნოშვილისა	1 ,,
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა.	,, 40
Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ	,, 20
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძისა	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50

18 ივნისს, სამშაბათს, გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ანჩისხატის ტაძარში გარდაცვალებულის
პოლკოვნიკის თ. მიხეილ კონას ძის ერისთავის
სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და მცნობთ დედა, დანი და ძმები. წირვა დაიწყება დილის $9^1/_2$ საათზედ. (1—360—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 іюня 1902 г. Типографія «Гуттенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.